2020 წლის 28 მაისს 12:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ N602 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულ საკითხზე (საკითხი ეხება შპს „ნოვა პროდაქშენსის“-გან ორი პროექტის შესყიდვაზე და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემას, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის ერთ პროცენტს და საჭიროებს საბჭოს თანხმობას) მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2020 წლის პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა;

3. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში